№ 211 | 1877—1894 | № 211

ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი 1894

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად: და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრულად და მხრიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაკონის ქუჩაზედ, ხოჯიანქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ზ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1297—20)

## ტფილისი, 6 ოქტომბერი

—

საფრანგეთის „კონსერვატორები და ზომიერი რესპუბლიკელნი დიდად აამღვრია და ჩააფიქრა ნანტში მაამხდარმა მუშათა კრების დადგენილებამ.

როგორც გამორკვეულია, საფრანგეთის მუშა ხალხი ერთიანად სოციალისტებისაგან არის შემდგარი და მუშანი თავისის იდეალის მისაღწევად რევოლუციების მოხდენასაც-კი არ ერიდებოდნენ. მაგრამ ნანტის მუშათა კონგრესზე კრებამ გადასწყვიტა ამიერიდან თავი დაანებონ ყოველ გვარ აგიტაციას და ეცადნენ მხოლოდ იმას, რომ პარლამენტში მომეტებული ნაწილი სოციალისტთა იყოს არჩეული. ამ სახით—მუშათა სოციალური ბრძოლა ახლანდელ უფლება მოსილ წოდებასთან უნდა შეიცვალოს პოლიტიკურ ბრძოლად, ე. ი. მუშა ხალხი იმას უნდა ეცადოს, თავისს თანამგრძნობელ დეპუტატთა რიცხვი იმდენად გაამრავლოს პარლამენტში, რომ იმათის შემწეობით ის კანონები გამოსცეს, რომელთა მიღწევას ასე მხნედ მიისწრაფებიან საფრანგეთის სოციალისტები. ეს გზა გამარჯვების მოსაპოვებლად აურჩევია დღეს ნანტის მუშათა კონგრესს და, რასაკვირველია, დიად უსწორესი და უსაფუძვლიანესი გზაც არის. ეჭვი არ არის, რომ კანონის საშუალებით შეძენილი უფლება უფრო მკვიდრია, ვიდრე ძალით მოპოვებული, რომელსაც ყოველთკის თან მოსდევს უსამართლობა და ადამიანთა მსხვერპლი.

საფრანგეთის სოციალისტებს უეჭველია სისრულეში შეუძლიათ მოიყვანონ თავისი განზრახვა, რადგანაც მუშათა დეპუტატთ რიცხვი შესაძლოა უმრავლესობა გახდეს პარლამენტში და მაშინ, ცხადია, ძირეულად შეიცვლება ცხოვრების აწინდელი წეს-წყობილება და საზოგადო დამოკიდებულება. საფრანგეთის სოციალისტებს, ჭეშმარიტად კარგი ანგარიში მოსვლიათ, როდესაც გადაუწყვეტიათ, რომ ამიერიდან იმათმა მეცადინეობამ პოლიტიკური ხასიათი მიიღოს, რადგანაც ბედი და მომავალი საფრანგეთის ერისა მთლად დამოკიდებულია იმის პარლამენტისაგან, რომელიც კანონმდებელი დაწესებულებაა.

ამიტომ სრულად საგულისხმო და გასაგებია ის შიში, რომელიც ნანტის კონგრესის გარდაწყვეტილებამ აგრძნობინა ახლანდელ წესრიგის დამცველთა, როგორც მწერლობასა, აგრეთვე საზოგადოებაში.

საფრანგეთის ბურჟუა და კონსერვატორები კარგად ჰხედვენ, რომ მუშა ხალხი სახუმროდ არ ამხედრებულა და ბოლოს და ბოლოს მიუგნია ნამდვილის საშუალებისათვის ახლანდელ უსამართლო დამოკიდებულების მოსასპობად. ინგლისი კარგა ხანია adგას ამ გზას და ამიტომ თითოეული გამარჯვება საერო უფლების დამცველთა მკვიდრ საძირკველზედ არის აშენებული იქ, და ვერა რომელი ქვეყნიური ძალა ინგლისის ერს იმას ვერ წაართმევს, რაც ერთხელ დაისაკუთრა. ამისთვის ინგლისის ერის პროგრესს არ ეტყობა არც ის ნახტომი, რომელიც სჩვევია ხოლმე საფრანგეთისას, და არც ის უკან ჩამორჩენა და გაყინვა, რომელიც ხვედრად აქვთ ზოგიერთ სახელმწიფოებს.

ნანტის მუშათა კონგრესის განაჩენის შემდეგ ისინი, რომელნიც გუშინ განრისხებულნი გაიძახოდნენ საფრანგეთში: „ჩაჰყარეთ ციხეში ახლანდელი წეს-წყობილების წინააღმდეგნი, გაჰგზავნეთ კაიენას და თავი მოჰკვეთეთო!“, ახლა იმათ სულ სხვა ჰანგზე მოურთეს საუბარი. დღეს როგორც კონსერვატორები, აგრეთვე ზომიერნი რესპუბლიკელნი ჰღაღადებენ, რომ პარლამენტმა რეფორმები შემოიღოს საფრანგეთის აწინდელ წესწყობილებაში, მიანიჭოს ხალხს ის უფლება, რომელიც წინამორბედია მთელის ერის ბედნიერებისა და შეზღუდოს გამძვინვარებული მადა განათლებისა და სამართლიან დამოკიდებულების მტერთაო.

ეს კილო, როგორც ჰხედავთ, სრულიად აღარ ჰგავს იმ სიტყვებს, რომელიც საფრანგეთის ერს ესმოდა თავისის მთავრობისა და მწერლობისაგან ამ ცოტა ხნის წინად

ეტყობა ნანტის კონგრესის განაჩენს თილისმური გავლენა ჰქონია საზოგადო აზრზე და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც პარლამენტის ქვეყნებში იმ გზით ბრძოლა, რომელიც ნანტის მუშებს აურჩევიათ, რასაკვირველია, უფრო საფუძვლიანია თავის განზრახვის მისაღწევად.

მეველე

---

# დეპეშა

4 ოქტომბერი

**ლონდონი.** მართლდება ის ხმა, რომ ავღანისტანის ემირი მძიმედ არის ავადაო.

**კორფუ.** აქ მოვიდა გოფმარშალი გრაფ ბენკენდორფი.

5 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ოფიციალურად, გამოცხადებულია, რომ ექიმებმა: ბერლინის პროფესორმა ლეიდენმა, პროფესორმა ზახარინმა, დოქტორმა პოპოვმა და საპატიო ლოსტიქარმა ველიამინოვმა 4 ოქტომბერს მომხდარ კონსილიუმზე შესახებ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ავადმყოფობისა განაცხადეს: ხელმწიფე იმპერატორს თირკმლები უკეთ არა აქვსო და ლონეზეც უფრო დასუსტდაო. ექიმებს იმედი აქვთ, რომ სამხრეთის ჰაერი კარგად იმოქმედებს ავგუსტოესის ავადმყოფობის ჯანმრთელობაზედ.

---

# ახალი ამბავი

—

*** მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე, გუშინ წინ, 4 ოქტომბერს, საგანგებო მატარებლით ჩამობრძანდა ბორჯომიდგან ტფილისს; მის უმაღლესობას თან ახლდა დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე. მის უმაღლესობას დახვდნენ რკინის გზის სადგურზე: დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე, კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი შერემეტევი, მისი თანაშემწე გრაფი ტატიშჩევი, ტფილისის გუბერნატორი თავადი შარვაშიძე და მრავალნი სხვანი. რკინის გზის სადგურზე და ქუჩებში, სადაც მის უმაღლესობას უნდა გაევლო, მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი. რკინის გზის სადგურიდგან დიდი მთავარი წაბძანდა თავისს შვილის ნიკოლოოზ მიხეილის ძის სახლში, მიხეილის ქუჩაზედ.

---

# ფელეტონი

—

## ორი კოკორი

(პატარა ამბავი)

სალამოხანია. ანტონ წანწალაძე ოთახში დადის დაფიქრებული. ხანდახან საწერლო მაგიდასთან შესდგება, დაჰხედავს მაგიდაზედ გაშლილს ქაღალდებს, მწარედ გაიღიმებს, თავს გაიქნევს და კვლავ სიარულს იწყებს. სიარულითაც ანტონი ვერას გახდა. საჩქაროდ მოუჯდა მაგიდას და ქაღალდებს ფურცვლა დაუწყო. არა ერთხელ და ორჯელ გადაიკითხა ქაღალდები, მაგრამ სანუგეშო, საიმედო ვერა ამოიკითხარა.

— განა არ ვიცოდი! პირველი ხომ არ არის? აგერ თორმეტი წელიწადია ვწანწალობ! დღეს მეშვიდე ადგილზედა ვარ, შვიდის დაწესებულების წეს-რიგი, საჭირო ქარაკ-ხრიკები „მამაო ჩვენოზედ“ უკეთ შევისწავლე და მაინც კიდევ მოვსტყუვდი? არა, რაც უნდა დამიჯდეს, რაც უნდა მომივიდეს, უეჭველად უნდა ვიშოვნო ის დაწყევლილი მოწმობა. განა იაფად მიზის დღევანდელის თბილის თანამდებობის შოვნა, რომ ცინგლიანის მოწმობის გამო დავკარგო? არა, რასაც ვეძებდი, ძლივს ვიპოვე და სწორედ დასაბმელი გიჟი ვიქნები, რომ არ დავმტკიცდე და კიდევ სატანტალებელი საქმე გავიხადო!..

— აბა, ჩემო საშა, არა უკაცრაოდ, ალექსანდრე ეხლა მიჰირს შენი თავი! კარგი კაცია ალექსანდრე, უარს არ მეტყვის, დამეხმარება. მართალია, დიდი ხანი არ არის, რაც ერთმანეთი გავიცანით, მაგრამ დრო რა საჭიროა, როცა «სული სულს იცნობს და გული გულსა»... განა რა ჩემი ბრალია, რომ სასწავლებლიდგან სწავლა დაუმთავრებელი გამოვედი? ჭკუა-გონება მოხელეობისათვის ისეც ძლიერ კარგად მქონდა მომზადებული და გიჟი ვიყავ, გულ ი გამეწყალებინა რაღაც უმნიშვნელო საგნების სწავლით? რაში გამომადგებოდა? ენა ძლიერ კარგადა მაქვს გაპოქნილი და ენასთან მოხელეთათვის საჭირო საგანი უსასწავლებლოდაც ძლიერ კარგად შევისწავლე. მაშ სასწავლებელში დრო ტყუილად რაღად დამეკარგა?

მართლაც-და რომელ დაწესებულებაშიაც-კი მერგო სამსახური, დღეს ხომ მეშვიდე ალაგზედა ვარ, ყველგან გულ-კეთილი მრჩეველ-დამრიგებლები არ მაკლდნენ. მართალია, პირველში ჩემის გამოუცდელობით ჩემი ოსტატები სარგებლობდნენ, მაგრამ სამაგიეროდ დღეს... ამ პატარა ქალაქში ჩემთან ფეხს ვერავინ წამოსდგამს. აქ რა იციან, რომ კალამს ორი წვერი აქვს? რომ საქმიანობის დროს ორნაირი მელანი იხმარება! რომ ქაღალდი მაგიდის უჯრაში მაშინ შეთამაშდება ამოსაღებად, როცა ხელის გულის ქავილი დაკმაყოფილდება და კიდევ ბევრი რამ სხვა... დაილოცოს ტფილისის სხვადა სხვა დაწესებულების ძველი მოხელეები. ბიჭებიც ისინი არიან და ნამდვილადაც, რომ დღეს იმათი მეოხებით თუ სწარმოებს და რიგიანობს საქმე, თორემ... შენი მტერია ამ ახალ, ვითომდა განათლებულს, მოხელეების ხელში ისე აირეოდა საქმე, რომ ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობდა. იმათ-კი რომ ჰკითხო, გამოცდილი მოხელეები ხავს-მოკიდებულები, მეთვრამეტე საუკუნის მედი ტარეები, ჟანგ-მოკიდებულის სულისა და გულის პატრონნი, სხვის ჯიბეზედ თვალის მჭერავნი არიან... მექრთა... მაგრამ სცრუობენ... სიმშურნისაგან აღარ იციან რა ჰქნან... ჩვენი გამოცდილება იმათ განათლებასა სჯობნის და...

ყველა კარგი და მოწმობა-კი საჭიროა. ოხ, დროვ, დროვ! განა ჩემისთანა ერთგული-დაუღალავი მუშა, საქმის მცოდნე მოხელე რაღაც მოწმობამ უნდა შეაფერხოს?.. მაგრამ რას იზამ, უნდა ვიშოვო მოწმობა... მაშ რა და თორმეტის წლის წანწალის ჯილდო—დღევანდელი თბილი ალაგი ხელიდამ გამექცეს? შენც არ მომიკვდე. წინად თუ მიჭირდა, დღეს საქმე ალჩუზეა. დაილოცოს დაუსჯელი პარსვა... ცოტა, მერე სულ ერთხელ, ნაპარსი სხვასაც არგუნე და საქმე გაიჩარხა... საშა არ მიიღებს!.. რა შვილია... მორჩა, მივიღებ მოწმობას, დავმტკიცდები და მაშინ...

ანტონი გაჩუმდა და იდუმალს ოცნებას მისცა თავი. ოცნება ფართო და უსამზღვრო და ანტონსაც რა ეხარჯებოდა... თბილს ადგილზედ დაამტკიცეს... ყოველ მხრივ ნაპარსი მოდის, მერე ამინდიც ძლიერ ხელს უწყობს... და გუშინდელი მაწანწალაძე დღეს მაწანწალოვი გახდა... თაყვანცემული, ალვირ-წაყრილი მედიდურად დაჰბძანდება პატარა ქალაქში...

ანტონმა საჩქაროდ დასწერა წერილი და ალექსანდრესთან გაგზავნა... სულ არ გასულა ორი საათი, რომ ალექსანდრე მოვიდა ანტონთან და სალამის უმალ ჰკითხა:

შვიდ საათზედ მისი უმაღლესობა მიხეილ ნიკოლოოზის ძე ბძანდებოდა სადილად კავკასიის მთავარმართებელთან და საღამოს 9 საათსა და 40 წუთზედ იმასთან ერთად ყარაიაზში წაბრძანდა სანადიროდ.

⁂ შაბათს, 8 ოქტომბერს, კავკასიის მთავარ მართებელი შერემეტევი ტფილისიდგან ერევნის გუბერნიაში მიემგზავრება ამ გუბერნიის დასათვალიერებლად.

⁂ გაზ. „Хозяинъ"-ი ამბობს, რომ საფრანგეთის ბაზრებში სრულიად არ აქცევენ ყურადღებას რუსეთის ხორბლეულობას იმის და მიუხედავად, რომ რუსეთის ხორბლეულობა ადგილობრივ ხორბალში არ ერევა და ამითი იმის განსაკარგებლად ყოვლად საჭიროა. მხოლოდ სიმინდსა თხოულობენ ბევრსა და კარგს ფასადაც ისყიდებაო.

⁂ კახეთის საუფლის-წულო მამულებში ამ ჟამად წყალის არხი კეთდებაო, სწერს „ტფ. ლისტ."-ი. არხი გამოყვანილია ხოფ. მუკუზნიდგან, სადაც აშენებულია სამაგალითო ღვინის სარდაფი. წყალი გროვდება ახლო-მახლო წყაროებიდგან და მიმდინარეობს სამის ვერსის მანძილზედ. 160 მანძილზედ მილები გვირაბშია გატარებული. წყალი თავის-და თავად მოდის და დღეში 3,000 ვედრამდის იძლევა.

⁂ ქალაქის კასსაში გასულ სექტემბერში შემოსულა სულ 63266 მან. და 54 კაპ. მხოლოდ ცხრა თვის განმავლობაში პირველ იანვრიდგან პირველ ოქტომბრამდე—775008 მან. და 40 კაპ. აქედგან დასაფასებელი ხარჯი შემოსულა 238,259 მან. და 48 კაპ. მილის წყალისა – 134,391 მან. და 89 კაპ., სავაჭრო საბუთებისა —55,464 კაპ. და 89 კაპ., ყავახანეების გადასახდელი—36,057 მ. და 9 კაპ., ქალაქის საყასბოდგან—33247 მან. და 9 კაპ., ცხენების გადასახდელი ხარჯი—22861 მან. და 50 კაპ. და სხვა. სექტემბერშივე ქალაქის გამგეობას დაუხარჯავს 53511 მან. და 51 კაპ. პირველ იანვრიდგან-კი პირველ ოქტომბრამდე—670895 მან. და 62 კაპ.

⁂ სოფ. თეკლათი. (სენაკის მაზრა). თეკლათის საზოგადოებას სიმინდის მოსავალით დანარჩენ მაზრის საზოგადოებათა შორის პირველი ადგილი უჭირავს. მაგრამ, საუბედუროდ, წრევანდელი სიმინდის მოსავალი ვერაფერს იმედს იძლევა. უამისოდაც დაძაბუნებულს სიმინდს სექტემბრის უკანასკნელის რიცხვების ქარმა მთლად გაათხრა. 27—30 სექტემბერს ისეთი მძლავრი და ღონიერი აღმოსავლეთის ქარი ჰქროდა, რომ სიმინდები მიამტვრ-მოამტვრია და გააპარტახა.

⁂ სოფ. ნორიო (ტფილისის მაზრა): ეს ერთი კვირაა, რაც გამომხმარი, აფხვიერებული დედამიწა ძლივს მოალბო მადლიანმა ცის ნამმა, მაგრამ საუბედუროდ გვიანღა იყო. ყურძენს მან ველარა არგო-რა, რადგანაც ნორიელებმა კიდეც მოირთვლიანეს. მაგრამ ვაი ამ რთვლიანობასა! გლეხს თითო გოდორი ყურძენი ჰქიდია და მოჩანჩალებს შინისაკენ. ეს არის მთელი იმისი წლის მოსავალი ვენახიდგან. ან-კი რა მოუვიდოდათ საცოდავებს, როდესაც მთელს ზაფხულს ცას ნამი არ გაჰვარდნია და დედამიწა სიცხისაგან იწვოდა. საწყალი ხომ ნორიელებისთვის ღმერთს არ მიუცია. მაშ რა უნდა ექმნათ? არაფერი, ეყურებინათ ბოლომდის, „ღმერთი რას ინებებდა" როგორც ამბობენ ხოლმე გლეხები. ნორიელებმაც ასე ჰქმნეს, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ვაზებს მტევნები ზედ შეაჭკნა და შეახმა, რაც დარჩა ბოლომდის, იმათ კიდევ სწორედ სიმინდის მარცვლის ტოლა მარცვლები ეყრათ, ისიც სიცხე-პაპანაქებისაგან მთლად დამჭკნარ-შეუსვებელი, არც საჭმელად ვარგოდა და ღვინის დასაყენებლად ხომ მევენახეთა უმეტესობა არც კი ჰფიქრობდა. ასე საგანგებოდ ადრე მოირთვლიანეს, რადგანაც არაფრის იმედი არ ჰქონდათ ნორიელ გლეხებს. რაც შეეხება პურის მოსავალს, ღვთის მადლით ეს მაინც კარგი მოუვიდათ. ამ შემთხვევაში მარტყოფელები უფრო ჰკვიანურად მოიქცნენ და სთვლიანობა შეაგვიანეს. ამ ბოლო დროს კარგი მხიანი დღეები დაიჭირა.

⁂ იქიდამვე: აქ ამ ჟამად ტფილისის საფილოქსერო დასი სინჯავს ვენახებსა. შემოდგომის წვიმების გამო სინჯვა ცოტა შეცვლილია. ისინჯება $^1/_2$-დამ ერთ $^0/_0$ ვაზი, ასე რომ დღიურზედ უნდა გაისინჯოს 50-დამ 60 ძირამდის, რადგან ეხლა ძირი თითქმის აღარ გაუშრება ვაზს ისე კარგად, როგორც ზაფხულში, და არც ისე ადვილი საცნობი-ღაა სნეული ვაზი, როგორც აქამდის: ეხლა ვაზს ფოთოლი სცვივა და სჭკნება კიდეც.

⁂ მცხეთა. მცხეთის დღეობამ მშვიდობიანად ჩაიარა, კვლავინდებურად ჩხუბი და დავიდარაბა არა ყოფილა და ხალხი დამშვიდებული იყო, მხოლოდ ერთმა შემთხვევამ ხალხი ძალიან გააოცა. 2 სექტემბერს, შუაღამისას გაჰქურდეს აქაური მთავარი, რომელიც ეკკლესიის სახლების ქვემო სართულში სდგას. ვიღაც ბოროტ-მოქმედნი მისულან და გაუღიათ ფანჯარა. ამ დროს შიგა წოლილან და სძინებიათ როგორც მთავარს, აგრეთვე იმის სტუმრებს. ქურდებს ზედ გადაუბიჯებიათ, გადასულან ოთახში და რაც-კი მოხვედრიათ ტანისამოსი, სულ წაუღიათ, ასე რომ სუყველანი მეორე დღეს უტანისამოსონი დარჩნენ.

⁂ 3 ოქტომბერს მადერის ქუჩაზედ კუბერტსკის სახლის კარებთან იპოვნეს ორის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## დამაკვირდი

—

ვისაც არავისი და არაფრის შიში არა აქვს, იმას თავისი თავისა უნდა ეშინოდეს.

აუფენბერგი

**

მამაკაცს მის მიერ საცოლოდ ამორჩეულ ქალზედა ადვილად შეეტყობა, რა ზნისაა და რა ფასისა სდებს თავისს თავს.

გეტე

**

ის უფრო ადვილია, რომ ოცი კაცს დავარიგო, ვიდრე ის, რომ ერთი ამ ოცთაგანი მე ვიყო და მევე შევასრულო ჩემი დარიგება.

შექსპირი

## კორესპონდენცია

—

**სამეგრელო.** სწავლა-განათლების საქმე ისე მოეწყო ჩვენში, რომ არ შეგვიძლიან ცოტა აღმაცერად და ეჭვის თვალით არ ვუცქიროთ ამ საზოგადოდ უეჭველსა და უებარს სახსარს ცხოვრების განკარგებისა და დაწინაურებისას. აღარ ვიცით სკოლების გამრავლება უნდა გვახარებდეს, თუ გვაღონებდეს. თუ ჩვენს კეთილის-მყოფელთ დავუჯერებთ, ასეთის სახის სკოლებია ერთად-ერთი თქვენი განმანათლებელი და ცნობიერებაში მომყვანიო. ხოლო უტყუარი სინამდვილე-კი ხმა-მაღლა ჰღაღადებს, რომ ხუთი-ექვსის წლის ასეთს სკოლაში ყოფნის შემდეგ გონიერი ადამიანის ნაცვლად ხელში გვრჩება გონება დამთხვეული ალთა-ბალთაის კაჭკაჭივით მოლაქლაქე მანქანა. არ ავხირდებით და არ შევუდგებით იმის დამტკიცებას, რომ ორჯელ ორი ყველგან ოთხი იყოს, რომ ჩვენებური ბავშვებიც სხვა ბავშვებს ჰგვანან, რომ ამათაცა აქვთ გარეგნული და სულიერი გრძნობანი, მაშასადამე ვერ ვიტყვით, რომ ყოველგან მიღებული საპედაგოგიო კანონი ჩვენშიაც გამოდგეს. „სხვამა სხვისი უკეთ იციო", ჩვენც სხვებს დავუჯეროთ და მივყვეთ, იმათ უკეთ იციან, რასაც სჩადიან.

ხოლო სამწუხარო ის არის, რომ არა ვცადეთ ერთხელ მაინც, როგორ მოგვიდგებოდა გონივრულად მოწყობილი სწავლის საქმე. თუ გვაწყენდა, მაშინ ხომ შალთაი ბალთაიც ახლად გაგვექცეოდა; განა ცოტანი გვყვანან ამ ახალ მეცნიერებაში გაწვრთვნილი პედაგოგები? აი აქ იყო საჭირო ხმის ამოღება მოწინავე კაცებისაგან, რომელნიც ეხლა კუთხეში მიმდგარან და საყვედურს აცხადებენ? „ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს, მგელს დაუგდოს თვისი ცხვარი". ამ მდგომარეობაში რაკი ვართ, დაგვეთანხმებით, რომ ერთად-ერთი მოსაჭიდებელი ნუგეში ჩვენთვის სათავად-აზნაურო სკოლა და სასულიერო სასწავლებელი დარჩენილა. აი ამ ორის ნუგეშით ვსულდგმულობთ და ვეწებებით კიდევ ჩვენც ჩვენს ქვეყანას, თორემ, შენი მტერია, ფეხქვეშ ნიადაგი გვეცლება და სულ სხვანაირი სიო უბერავს ჩვენს თვით არსებობას.

ვერ არიან მადლობის ღირსნი ის ვაჟბატონები, რომელთაც რაღაც წვრილმან თავ-მოყვარეობას ანაცვალეს ჩვენში წიგნთ-საცავის ბედი. ყოვლად საჭიროა, რომ ამ საკეთილო საქმის გამართვა უფრო მაღალის წოდილისა და სინიდისის კაცებმა ითაონ. მივმართავთ ჩვენის დაბების უკეთესს კაცებს, რათა ხელი მოჰკიდონ ამ საქმის ფეხზედ წამოყენებას და საერთო ძალით დააარსონ ერთი ღონიერი საერო წიგნთ-საცავი. სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებს, მართალია, ისეც ბევრი საქმე აქვთ, მაგრამ დიდად დაავალებენ მთლად ჩვენს კუთხეს, რომ ამ წმიდა საქმისთვისაც მოიცლიდნენ, შეერთდებოდნენ, აიყოლიებდნენ საზოგადოებას და ამ საქმეს სათავეში თვით ჩაუდგებოდნენ. თუ არ ინტელიგენცია, ვინ უნდა ჰზრუნავდეს თავის ერის გონებით განვითარებისათვის!

ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლა, რომელიც ღრმა კვალს აჩნევს ჩვენს ცხოვრებას ამ ბურუსით მოცულს გარემოში დაჰკაშკაშებს, გაათკეცებს თავისს მნიშვნელობასა და გავლენას, როცა მოსრულდება მასთან დაწყებული სამეურნეო განყოფილება. კეთილი ადამიანების გულ-შემატკივრობასა და გარჯას ამ სკოლასთან აუგია მშვენიერი ორ-სართულიანი ქვის სახლი სამეურნეო განყოფილებისათვის. მართალია, ჯერ შენობა მოუსრულებელია, მაგრამ ამ საქმის მოთავენი და აქაური თავად-აზნაურნი ჰფიქრობენ ყოველი ღონე იღონონ და ახალის წლისათვის სრულიად მოაწყონ ეს შენობა. საჭიროა მხოლოდ თავად-აზნაურთა შორის გაწერილი ფული მოგროვდეს და საქმე გაიჩარხება, რადგანაც უგანათლებულესის სამეგრელოს თავადისაგან დაპირებული 2500 მანათისაგან 600 უკვე ფულად არის გარდმოცემული და დანარჩენი 1900 მანეთის გასასტუმრებლად სკოლას დაუთმო დ. ძველი-სენაკისაგან შემოსავალი, რაც 560 მანათი იქმნება წლიურად, იმ დრომდე, სანამ არ შესრულდება ეს თანხა. ჩვენ რომ სამეგრელოს თავადის გულუხვობასა და ქველმოქმედებას ვიცნობთ, ამავე შემოსავალს დაბისას სამუდამოდ დაუთმობს სკოლას სამეურნეო ნაწილის გასაძლიერებლად. ჩვენის მაღალის წოდების სასიქადულოდ უნდა ითქვას, ერთი კაციც არ გამოჩენილა ისეთი, რომ უკან დგებოდეს და ვერ იმეტებდეს თავისს წვლილს ამ ყოვლად სასარგებლო საქვეყნო საქმისათვის. ეტყო-

---

— რა ამბავია, ანტონ, რაზედ მიბრებდი?

— აი, დაბძანდით და მოგახსენებ.

ანტონმა ალექსანდრეს სკამი შესთავაზა.

— იმედია, მცირე დროს არ დაიშურებთ და ჩემს მცირე თხოვნას მოისმენთ. უთხრა ანტონმა ალექსანდრეს, რაკი ორივენი მაგიდას შემოუსხდნენ.

— რა თხოვნა გაქვთ?

— სულ უბრალო.

— ბრძანეთ.

— აი, ეს ქაღალდი წაიკითხეთ. ანტონმა გადასცა მოწერილობა, რომლითაც სწავლის მოწმობასა სთხოვდნენ თანამდებობაზედ დასამტკიცებლად.

— განა მოწმობა არა გაქვთ? გაკვირვებით ჰკითხა ალექსანდრემ ანტონს, ქაღალდი რომ წაიკითხა.

— საქმეც ეგ არის, რომ არა მაქვს. დავკარგე... მეორე პირიც ველარ მივიღე და ასე დავრჩი. იცრუა ანტონმა.

— ადვილი საქმეა... მოველაპარაკები ჩემს თანამოსამსახურეებს, დღეს დავინიშნავთ ეგზამენს და მოდით. იმედი მაქვს გამოცდა სასურველს შედეგს მიიღებს და...

— რაღა დროს ჩემი გამოცდაა, ალექსანდრე... სწორედ უნდა გითხრათ, რომ მე მოხელეობის მეტი არა ვიცი-რა. მიბრძანეთ, რა გვარი მიწერილ-მოწერილობაც გინდათ, დავწერ-გადავწერ, მაგრამ სამღთო წერილი, თუ სხვა საგნები აბა რაღა მეხსომება. არა, ისე უნდა მომიხერხოთ მოწმობა, რომ გამოცდა... ე. ი. გამოუცდელად.

— ეგ რომ არ შეგვიძლიან.

— როგორ არა, თქვენ ხელთ არ არის! როგორც და რასაც გინდათ, გააკეთებთ...

— მარტო ჩემგან რომ იყოს დამოკიდებული, კიდევ ჰო! მაგრამ მოწმობა მთელმა კრებულმა უნდა მოგცეთ და...

— კრებული დღეს თქვენი ხელქვეითია! ვიცი, რომ ყველას თქვენი ხათრი აქვს და, მაშასადამე, თქვენი წინააღმდეგი არავინ იქნება. თქვენ თუ მოინდომებთ, ერთის სიტყვით, საუკუნოდ დამავალებთ. მეც კაცი ვარ და დარწმუნებული იყავით, თქვენს სიკეთეს ჯეროვანის პატივისცემით გადავიხდი...

ალექსანდრე ჩაფიქრდა.

— ერთის სიტყვით, განაგრძო ანტონმა: მე თქვენი იმედი მაქვს თუ არ შემეწევით, მაშინ სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვო დღევანდელს ადგილსაც და სიცოცხლესაც კი... იმედია, ცოცხალი უფრო ბევრს გარგებთ, ვიდრე მკვდარი და ამიტომ შემეწევით.

— ვნახოთ, მოველაპარაკები ჩემს თანამოსამსახურეებს და შეგატყობინებ.

ეხლა კი მშვიდობით!

ალექსანდრე ადგა და ხელი გაუწოდა ანტონს.

— მოითმინეთ, რას მიეშურებით...

— არა საქმე მაქვს და დღესვე თუ მოვახერხე, მაგ საქმის შესახებ მოველაპარაკები ზოგიერთებს მაინც...

— მაშ ნახვამდის... ველი თქვენს პასუხს, რომელმაც ჩემი ბედი უნდა გადასწყვიტოს...

— ვნახოთ!.. ალექსანდრე საჩქაროდ სახლისკენ გამოეშურა.

— ვნახო! წამოიძახა ანტონმა მარტო რომ დარჩა. ვიცი, ძლიერ კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს ვნახოთ? მე და ვერ გავიგო! განა მე თითონ ერთხელ და ორჯელ მითქვამს სწორედ ეგ ვნახოთ. როცა საქმე დაუვალებია ვისმე? ვნახოთ მაშინ არის საიმედო, როცა მიგიხვდებიან სიტყვის მნიშვნელობას, ჯეროვნად ასწონ-დასწონენ... საქმეს და ვნახოს შეუწონებენ ერთმანეთს... ვნახოს ერბოს წაუსმენ და მაშინ გაუჭირებლივ ნახავდ გარდ ჰქმნიან... დიახ! ჯერ მე თითონ გნახავ ცალკე, ჩემო ალექსანდრე... და მაშინ... ძლიერ კარგად მოეწყო საქმე... ეხლა თავისუფლად შემიძლიან გავიდე გარეთ... რა ვიცი, იქნება საშას სანახავი თევზი მოჰვედეს ჩემს ბადეს...

ანტონმა საჩქაროდ მონახა თავისი ქუდი და სახლიდგან გამოვიდა.

ალექსანდრე ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში და ოთახში შესვლისთანავე თავის ცოლს სიცილით უთხრა.

— გაიჩარხა მიტროს საქმე... ეხლა-კი ეღირსება საცოდავს სულის მობრუნება, თორემ ეხლანდელს დროში ცოლშვილიანის კაცის უსაქმოდ ყოფნა ძალიან ძნელია!..

— რას ამბობ, რატომ გარკვევით არ მეტყვი! შეეკითხა ალექსანდრეს ცოლი,

— რავქნა, რაღა გარკვევა უნდა. ჩვენს მიტროს სამსახური ვუშოვნე მგონი.

— იმიტომ გიბარებდა ანტონი?

— იმიტომ-კი არა, მაგრამ რაც საქმე იმას ჩემთანა აქვს, მაშინ გარიგდება, როცა მიტრო ადგილს მიიღებს...

— რა ვქნა, მაინც არა მესმის-რა.

— შენ თუ ანბანისავით არ ჩამოგითვალე ვერას გაიგებ! ანტონს

ბა მომწიფებულა ჩვენში სამეურნეო ცოდნის მოთხოვნილება და წყურვილი. დიდის მადლობის ღირსნი არიან ყველა ისინი, რომელნიც მხარში უდგანან ამ საქმის სულის ჩამდგმელსა და ძიძას, სკოლის ინსპექტორს ბ-ნს ყიფიანს, როგორც, მაგალ. თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ი. დადიანი და მაზრის უფროსი ქვთარაძე, რომელიც გაწეულის ფულის მოსაგროვებლად სკოლის ინსპექტორთან ერთად ამ გასულს ზაფხულს სოფლიდგან სოფლად დადიოდა. სამუდამოდ შენახვა სამეურნეო განყოფილებისა, შენობის დასრულების შემდეგ, ხომ ქუთაისის თავად-აზნაურთა ბანკის კრებას აქვს ნაკისრები. დიაღ, აქაური სამეურნეო განყოფილება ხ რუჯთან შედარებით დიდს ნაყოფს გამოიღებს, მით უფრო, რომ სამეგრელოს თავადის გულ-უხვობის მეოხებით სკოლას მიწა საკმარისი ექმნება. ვინატრებთ ჩვენი ბანკების გაძლიერებას იმ იმედით მარტო, რომ ბევრს ჩვენთვის ფრიად საჭირო სასქეყნო საქმეებს ჩაუდგამენ სულს და გაუმკლავდებიან ჩვენს ათას გვარ გაჭირვებასა და ვარამს.

ერთი ფრიად დაუჯერებელი, მაგრამ ნამდვილი და თან სასიამოვნო ამბავიც უნდა გაუწყოთ ჩვენი ცხოვრებიდან. ქურდობა, რომელიც ანადგურებს ჩვენს ყოფა ცხოვრებას, ირყევა თავის ტახტზედ და მალე სულ მთლად უნდა დაიმხოს. ამ რამდენიმე თვის წინად ჩვენკენ გადმოიყვანეს ბოქაულად ბ-ნი გ. ფიცხელაური, კაცი სასტიკი და მხნეობით სავსე. მოსვლისათანავე შეუდგა იგი ჩვენს განკურნებას ქურდობისაგან; დაუღალავად ებრძვის ამ ჩვენის ხალხის სენს და უნდა ვსთქვათ, რომ რაც ბ-ნი ფიცხელაური მოვიდა, აღარა ქურდობის მაგალითი არა ყოფილა, თუმცა წინად დღეში სამი-ოთხი მაინც ხდებოდა. მართალია, მან მარტო თავისს საბოქაულოში ალაგმა ავი კაცები, მაგრამ სხვების საბოქაულოშიც ისე გაიხმაურა ამ ახალის კაცის გონივრულმა საქციელმა, რომ იქაც ძრწიან და წანწალებენ შიშით ცუდის გზით მავალი ვაჟბატონები. ერთ უკეთეს საშუალებად ბ-ნმა ფიცხელაურმა იხმარა სოფლებში ისეთის განაჩენების შედგენა, რომელზედაც ყველა წოდებას განურჩევლად უწერია ხელი და ყველასაგან არჩეული ხევისთავები შეერთებულის ძალით ერთს საქმეს ემსახურებიან, ხალხის გაწმენდას ავის და არა საიმედო კაცებისაგან. განაჩენს წინედაც სწერდენ, მაგრამ ყოველი წოდება ცალკ-ცალკე შუაში-კი ისეთი დიდი ხვრელი რჩებოდა, რომ ავ კაცს თავისუფლად შეეძლო გაძრომა-გამოძრომა და თავის შეფარება. ახლა-კი ჩვენი ხალხი თავისს სიმღერებში ქურდობას დამარხულად სთვლის «მახინჯებს მუმაქ დუდ-რუაო» (ქურდებს მამა მოუკვდაო). ვისურვებთ, რომ ბ-ნი ფიცხელაური ასეთის მხნეობით შესდგომოდეს თავისის სხვა მოვალეობის შესრულებასაც. იმედია არ დარჩება შეუმჩნეველი ჩვენი დაბა-სოფლების გაჭირვება უგზოობის მხრივ.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სამეგრელოს მაღალ წოდებას ისე არ ეთაკილება დაბალ წოდებასთან შრომა და მოღვაწეობა საზოგადო ცხოვრების განკარგებისათვის, როგორც სხვაგან ჩვენს ქვეყანაში. მაგალ., გურიაში ამ ჟამად დიდი საქმე კეთდება—ყოველს სოფელში, ყოველს კუნჭულში გაჰყავთ გზატკეცილები, რომელზედაც ეტლებით მისვლა-მოსვლაც-კი შესაძლებელი იქმნება; ბევრს ღელე-ხრამებზედ აკეთებენ ხიდებს. ეს მძიმე და თან ყველასათვის ერთნაირად საჭირო საქმე მთელის თავისის სიმძიმით ერთიან თავზედ დაჩაგრულსა და ხელმოკლე გლეხს აწევს. მაღალი წოდება განზედ გამდგარა და ხმა-მაღლა გაიძახის: „ჯერ არავის გაუგლეხებივარ, რომ გზის საკეთებლად გავიდეო“. აბა გაგლეხებასთან რა კავშირი აქვს საქვეყნო საქმეში ჩარევას? იმათი წინაპრები თუ წინ მიუძღოდნენ ხალხის საქვეყნო საქმეში და დამსახურებული ჰქონდათ ხალხის ნდობა და პატივი, დღესაც ეგევე საქვეყნო ჭირ-ლხინის გაზიარება და კისერზედ დადება დაამაგრებინებს თავს მაღალს ადგილზედ თორემ „უხმარი ქოთანი ქვასაო“ უთქვამს ხალხს.

ი. რ.

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ქვეით მოგვყავს სუვორინის «Нов. Вр.»-სი და კასანიაკის „Autorité“-ს იერიშით მისვლა ინგლისის ახლანდელ პოლიტიკასა და საზოგადოდ ინგლისელებზედ. ნეტა ვიცოდეთ, რა ქარმა დაჰბერა ასეთმა, რას ნიშნავს ეს გაცხარებული და შეთანხმებული კილო პეტერბურგისა და პარიზის გაზეთებისა!.. გაზ. »Нов. Вр.“ სწერს:

ინგლისელები, როგორც ყველამ იცის, არაფერს ერიდებიან თავისს საქმეებში. იმათი წრეს-გადასული საქციელი მუდამ თავს იჩენს ხოლმე იქ, სადაც-კი ბრიტანელები ფეხს შესდგამენ. ინგლისის თვით-მოყვარეობა მთელს ქვეყანას ემუქრება. ინგლისი ხელმძღვანელობს ეზუიტთა მცნებით: „ყველა საშუალება კარგა შენის გულის წადილის ასასრულებლადაო“ და ამიტომ ურცხვად ჰქელავს სიმართლისა და პატიოსნების უპირველესს მოთხოვნილებათ. სწორედ ამიტომ ინგლისელები სრულებით არ ერიდებიან ერთის ბანაკიდგან მეორე ბანაკში გადასვლას, ოღონდ-კი ეს არ ეწინააღმდეგებოდეს იმათის ინტერესებს. ინგლისელები მზად არიან დღეს ერთს ემსახურონ, ხვალ—მეორეს, ზეგ—მესამეს, ან პირ-და-პირ, მტერს. ინგლისელის სინიდისისათვის სულ არაფერია ამ გვარად ბანაკის გამოცვლა. გარდა ამისა, ინგლისი მეტად გაპარტახებულა სხვა-და-სხვა ფერულ ხრიკებში და მუდამ სცდილობს ხოლმე დაამციროს თავისი მტერნი და შეასრულოს ხოლმე თავისი ანგარებით სავსე სურვილი.

ზემოხსენებულ სიტყვების დასამტკიცებლად „Нов. Вр.“-ს შემდეგი სიტყვები მოჰყავს გაზეთ „Times“-ისა. ეს გაზეთი თავის მეთაურს წერილში სწერს:

„საჭიროა დავეხმაროთ იაპონიას და ნება არ მივცეთ სხვა სახელმწიფოთ ჩაერიონ იაპონიისა და ჩინეთის ომში, თუ ჰინიცობაა მოინდომა ვინმემ წაართვას იაპონიას შედეგი მისის გამარჯვებისას.

რომელ სახელმწიფოების გამო აქ ლაპარაკი, ყველა ადვილად მიხვდება, დასძენს „Нов. Вр.“, ე. ი. რუსეთისა და საფრანგეთის შესახებაო.

თავის მხრივ კასანიაკის გაზეთი „Autorité“ სწერს:

ჩინეთის საქმეში ინგლისის გარეგა სწორედ რომ რაგუზაციას მოგვაგონებს. გაიხსენეთ ეგვიპტე. ინგლისი ისე ჩაერია იმისს საქმეში, რომ ეხლა მისი განდევნა იქიდგან სრულიად შეუძლებელია.

ინგლისელების პოლიტიკა შემდეგია: ხელში ჩაიგდოს სხვის ქონება, თავისს სასარგებლოდ გამოიყენოს სხვების ნიჭი, ავიწროვოს ყველგან თავისი გრძელი თათები და გასძარცვოს ზღვაზედ ხალხი, თუ მოახერხა. ახლა იმასა სცდილობენ, გზა შეუღობოთ გამარჯვებულ იაპონელებს და ჩინეთში გაბატონდეთო. სწორედ სასიხარულოა, რომ რუსეთის და ამერიკის შეერთებულს შტატებს ჩინეთის იმპერიაში მოქმედება ინგლისის საწინააღმდეგო ინტერესისა. ყოვლად შეუძლებელია იმისი მოთმენა, რომ ინგლისას დროშა აფრიალდეს პეკინში, სამფეროვანი დროშა კი არსად სჩანდეს და საზოგადოდ ინგლისი ისე იქცეოდეს, თითქოს მთელი ქვეყანა მისი საკუთრება იყოსო.

---

# რუსეთი

—

მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ამ ჟამად იმის ზრუნვაშია, რომ მეღორნობის სწავლა გააძლიეროს და გააუმჯობესოს 7 სამეურნეო სასწავლებელში, 25 დაბალ ხარისხის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში და ზოგიერთს სამთო სასწავლებელში.

სამინისტროს, გარდა ამ სასწავლებლების გადაკეთებისა, ამ ახლო ხანში განზრახვა აქვს დაარსოს უმაღლესი კურსები მეღორნობისა, რათა მომზადდნენ ამ საქმის მცოდნენი ისე, როგორც მზადდებიან საიმპერატორო ნიკიტას ბაღში მეღვინეობის მცოდნენი.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს ჰსურს საბაღოსნო სწავლა გაავრცელოს სახელმწიფო გლეხთა შორის, რის გამოც უკვე გამოსცა დებულება მებაღოსნობის კურსებისა საერო სკოლების მასწავლებელთათვის და აგრეთვე წესები, იმის შესახებ, რომ შეღავათიან ფასად ეძლეოდეთ მცენარეები და თესლეულობა საერო სასწავლებლებს სამინისტრო საბაღოსნო სკოლებიდგანა და სასოფლო სამეურნეო ფერმებიდგან.

—

მიწათ-მოქმედების სამინისტროს ამ ჟამად ლაპარაკი აქვს იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას სასკოლო მეურნეობანი. ამ მეურნეობათა მესაკუთრედ ერობა უნდა იყოს, ხოლო ხელმძღვანელად—ადგილობრივი სამეურნეო ზედამხედველები და აღმასრულებლად—საერო სასწავლებლების მასწავლებელნი, ამასთანავე ეს უკანასკნელნი უნდა სარგებლობდნენ იმ სამეურნეოს შემოსავლიდგან, რომელიც იმათს ხელში იქმნება და რამდენიმე ნაწილი ამ შემოსავლისა გაუნაწილონ იმ მოსწავლეებს, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ მუშაობაში. სასოფლო მეურნეობის სწავლებისათვის-კი მასწავლებლებმა განსაკუთრებული ჯამაგირი უნდა მიიღონ ერობისაგან.

—

სახელმწიფო საბჭოს სესიის დაწყებისათანავე განხილული იქნება რუსეთში სვიის მოყვანის გავრცელებისა და გაუმჯობესობის შესახებ რამდენიმე საკითხავი. სხვათა შორის განხილულ იქმნება: შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დააარსოს საცდელი სადგურები და სვიის გავრცელების შესასწავლი სკოლები, სადაც სვიის მოყვანის საქმის გაუმჯობესება იქნება შესაძლებელი.

—

ყოველს გუბერნიაში ჩქარა დაიწყება ერობის კრება, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ისიც, თუ რა ღონისძიებანი იქმნას ხმარებული ერობის მხრივ პურის გასაიაფებლად.

---

# უცხოეთი

—

**იტალია.** ეპისკოპოსმა სამასმა უნგართა დელეგაციას წარუდგინა დეკლარაცია კონკლავის შესახებ. ამ დეკლარაციამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. სამასმა თვისი სიტყვა შიში განაცხადა პაპის არჩევანების შესახებ და იკითხა, რა ღონისძიებანი ილონა ავსტრია-უნგრეთის მთავრობამ იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა მოისურვა Veto განაცხადა კონკლავში. სამს სახელმწიფოს: საფრანგეთსა, ავსტრიას და ისპანიას უფლება აქვთ თავისი უკმაყოფილება გამოაცხადონ ხოლმე პაპის არჩევანების შემდეგ.

---

უნდა, რომ სამსახურში დასამტკიცებლად საჭირო სწავლის მოწმობა მივცე, გაიგე! მოწმობას მივცემ, მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენს მიტროს სამსახურს უშოვნის თავისთან.

— მოწმობა უმაგისოდ-კი არ შეუძლიან მიიღოს? მეტიც გამოცდის დროს არ ჩაჭრათ?

— საქმეც ეგ არის, რომ ანტონი თურმე სახრავათ არაფერი შვილი ბრძანებულა. მე გამიტყდა, არა ვიცი-რა, გამოცდისა შეშინიან და უნდა მოწმობა მამიხერხოო...

— თუნდა მაგრეც იყოს, მარტო შენ ხომ არ უნდა გამოსცადო. მასწავლებლები დაგეთანხმებიან მერე?

— ჩემო კარგო! ჯერ კიდევ პატარა ყოფილხარ! განა სამსახურის ერთი ვადა იმიტომ გადავაგორე, რომ მაგისთანა უბრალო საქმის გამო ჩემი ხელ-ქვეითნი ვერ დავითანხმო? ვეტყვი—ვთხოვ, ვუბრძანებ კიდეც... ჯერ მიტროს საქმე გარიგდეს... უეჭველად-კი გარიგდება, რადგან ანტონის სული ჩემს ხელშია.

— არა, საშა, გირჩევ შენთვის იყო. რა საკადრისია მიტროს გულისათვის უსამართლობის ჩადენა. მერე ანტონს უნდა ათქმევინო, ქრთამი მთხოვაო?

— რა ქრთამი, რას ამბობ, დედაკაცო! ის მე მთხოვს დახმარებას, მე იმას, აქ ქრთამი რა შუაშია. დროს, შემთხვევას სარგებლობა უნდა. მე რომ ესე არ მოვქცეულიყავ, განა დღევანდელს ჩემს ყოფას მივაღწევდი? შენც უეჭც ხალხსავით ჰლაპარაკობ! როგორ შეიძლება, უსამართლობაა და ვინ იცის კიდევ რა... ძლიერ კარგადა ვარ გამოცდილი, რომ საჭიროა გარემოების და საქმისა-და გვარად ხელის მოთხოვნაც, გაძვრენ-გამოძვრენაც, ტყუილ-მართალიც... მხოლოდ ერთის პირობით კი, შენზედ უფროსს ცამდის მართლად და იმის ყურ-მოჭრილ ყმად ეჩვენე.. მაგრამ რას გელაპარაკები, ჩემი ცხოვრება თვალ-წინა გაქვს, კარგად დააკვირდი, ასწონ-დასწონე და გამამტყუნე...

შენი საშა დღეს აქ, უფროსი კი არა, უკანასკნელი მსახური იქნებოდა, რომ ყური მახვილად არა ჰქონოდა და ენა უფროსის სასიამოვნოდ არ გამოექაჯნა.... ასეა, ჩემო კარგო, ხელი ხელმა უნდა დაჰბანოს და მეც ანტონს მხოლოდ ამასა ვსთხოვ.

— მაშ მიტროს შევატყობინო?

— მაიცადე,-აბა დედაკაცი ხარ და მოუსვენარი და მოუთმენელი. ჯერ გარიგდეს საქმე და მერე შევატყობინებთ.

მეორე დღეს დილით ანტონს ალექსანდრესაგან წერილი მოუვიდა. ალექსანდრე სწერდა მოწმობა ადვილია, მხოლოდ ერთის კვირის შემდეგ იქნებაო. ბოლოს ალექსანდრე სთხოვდა მიტროს უეჭველად უნდა რაიმე ადგილი მისცეთ იმ დაწესებულებაში, სადაც თქვენა მსახურობთ. ანტონმა წერილი წაიკითხა და ჩუმად ჩაიცინა.

— ნოწმობისათვის მომზადებული ნაპარსი. ჯიბეში მრჩება! უფრო კარგი და ადვილი. უფროსი მწყალობელი მყავს და არც უარს მეტყვის.

ანტონმა იმ დღესვე მოახსენა უფროსს, რომ ერთი უნცროსი მოხელე, რომ გვაკლია, იმის ალაგი მიტროს მივცეთო. თან, რასაკვირველია, დიდი ქება-დიდება შეასხა მიტროს, თუმცა არც-კი იცნობდა. ანტონმა უფროსი დაითანხმა და გახარებულმა იმავე საღამოს აცნობა ალექსანდრეს, მიტრო ხვალ დილით გამომიგზავნეო. გაიჩარხა მიტროს საქმე და ანტონმაც მოსვენებით ამოისუნთქა. ერთის კვირის შემდეგ ალექსანდრემ შეჰკრიფა მასწავლებლები, დაიბარა ანტონიც და კარგად გაუმასპინძლდა მოწვეულ სტუმრებს. საღამოს ექვს საათამდე ილხინეს და ისიამოვნეს ანტონმა ბევრი აცინა შეკრებულნი, ბევრი იხუმრა სუფრაზედ. ალექსანდრე სიამოვნებით შეჰყურებდა ღვინისაგან შექარხლებულს ანტონს, რომ საუცხოვო ენა-მახვილობა გამოიჩინა და იმედი არ გაუცრუვა. მეორე დღეს ანტონმა საჭირო მოწმობა მიიღო ალექსანდრესაგან.

—

მერე როგორ! გამოცდა? სადილი იგივე გამოცდა იყო და სადილზედ ხომ ანტონმა ნიჭი გამოიჩინა და ენა არ დაუყენებია, ყველა იქ მყოფთ ჯეროვანს პასუხს აძლევდა. ვინ გაკეთა სადილი, ანტონმა თუ ალექსანდრემ, სულ ერთია, საქმე-კი გარიგდა და? ან რა ექმნა ალექსანდრეს... ანტონს პატარა ბავშვსავით ხომ საკლასო დაფასთან არ გამოსცდიდა. სადილმა ორნაირი საქმე გაარიგა. ისიამოვნეს კიდეც და მოვალეობაც აასრულეს...

ამ გვარად ორმა კოკორმა ჩვენის ქვეყნისამ გაუკეთეს ერთმანეთს საქმე და არც მწვადი დასწვეს, არც შამფური. ეხლაც ორნივე კოკორნი ჩვენის ქვეყნის ერთს დაბას ამშვენებენ...

ი. კახელი

თუ ვინცობაა ისეთი კარდინალი იქმნა არჩეული, რომელიც მათ არ მოსწონთ. ამ შემთხვევაში უკმაყოფილების გამოცხადების უფლებას თითოეული ზემოხსენებული სახელმწიფო საიდუმლოდ გადასცემს ხოლმე ყოველს კარდინალს. რადგანაც პაპის ლეო XIII-ს ჯერ საიმისოდ არა უჭირს-რა, საჭიროა რომ ყოფილიყო ლაპარაკის ჩამოგდება მომავალ კონკლავზე, ამიტომ სამასსას საქციელი ვატიკანში მეტად უხერხულ საქციელად ჩასთვალეს. ეს აშკარად არის გამოთქმული Osservatore Romano-ს ერთს წერილში, მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმ წერილს, რომელიც დაბეჭდილია ოფიციალურ გაზ. Italie-ში. ეს გაზეთი იმტკიცებს, Ueto-ს უფლება კანონიერი არ არისო. „ვიდრე პაპი გამგებელი იყო მთელი სახელმწიფოსი და ხელთ ეპყრა საპოლიტიკო უფლებანი, უცხო სახელმწიფოთ მართლა რომ უფლება ჰქონდათ გარეულიყვნენ პაპის არჩევანებში. ეხლა ამ უფლებისაგან არაფერი დარჩა. საბედნიეროდ, პაპს ტახტს ჩამოერთვა საპოლიტიკო უფლებანი. რადგანაც პაპს მხოლოდ სასულიერო უფლებანი და შერჩა, ამიტომ პაპის არჩევანიც სრულიად თავისუფალი უნდა იყოს და ამიტომ დიდი უსამართლობაა ისევ დარჩეს ძველად-ძველი უფლება. Veto—საშუალ საუკუნოებათა უფლებაა, კონკლავის თავისუფლება—უპირატესობაა აწინდელის დროისა. შემდეგ იგივე გაზეთი ამბობს, რომ თუ ვატიკანმა მოისურვა დაცვა კონკლავის თავისუფლებისა, მასვე მიემხრობა იტალიაცაო. ამბობენ, რომ კრისპიც ეთანხმება ამ წერილის შინაარსსაო.

## ოსმალეთის სომხეთი

არზრუმელი კორესპონდენტი გაზეთის „არძაგანკისა" შემდეგს ამბავს მოგვითხრობს სასუნელების უკანასკნელი აჯანყების შესახებ.

ქალაქს მუშში ცნობილმა თავისს ბოროტ-მოქმედებით ჭაჯი ფეიმ-აღამ, რომელიც აგრეთვე ცნობილია სომხების მტრობით, მოინდომა ესარგებლნა სომხების აჯანყებით. ქ. მუშიდგან მთელის რაზმის ცხენოსნებით გამოვიდა, რომ გაემარცვა და დაეხოცნა სომხები, ან, როგორც თითონ ამბობდა, შეეპყრო მთავრობის წინააღმდეგნი „ჯანფიტანები"—მკამბოხენი. იმ გზაზედ, რომელიც სოფ. კარნენსა და ჯირიკში მიდის, შემოხვდა ერთი ჯირიკელი მშვენიერი სომხის ქალი. ამ ქალის ეშხიანმა და მიმზიდველმა სახემ მიიქცია ყურადღება გარყვნილის ოსმალოის უფროსისა, და სამარცხვინო ლაპარაკი გაუბა თურმე, რომელიც, რასაკვირველია, სომხის ქალმა უარ-ჰყო. გაბრაზებულმა უფროსმა უბრძანა თავისს ცხენოსნებს, რომ კვალ-და-კვალ მიჰყევით ამ დედაკაცს სოფელ ჯირიკამდისაო. ჭაჯი ფეიმი ღამის გასათევად პირდაპირ ამ დედაკაცის სახლში ჩამოხტა და თავისს მხლებლებს უბრძანა, რომ რაც იმ ოჯახში მამა-კაცები არიან, ბოძებზედ მიაკარით და თავზედ ხან თბილი და ხან ცივი წყლები ასხითო. ამ დროს ჭაჯი-ფეიმთან მივიდა ერთ დაჭერილ კაცთაგანის ცოლი, ახალგაზდა და მშვენიერი ქალი, შოგიკი და შემდეგის სიტყვებით მიჰმართა.

— სირცხვილია, ჭაჯი-აღა შენთვის, რომ ბებერ დედაკაცის გამოასვლის ბოროტებას სჩადიხარ. აი, მე უფრო ახალგაზდა და მშვენიერი ვარ...

ჭაჯი-ფეიმი დატყვევდა შოგიკის სიტურფით და თავისს მოხელეებს უბრძანა სასჯელისაგან განეთავისუფლებინათ მამაკაცები; შოგიკს კი კადა დაუნიშნა, ჩემსას მოდი ამა-და-ამ დროსაო. დანიშნულს კადაზედ შოგიკი მივიდა ოსმალების უფროსთან. მაგრამ დაუწყო თუ არა ჭაჯი-აღამ ალერსი, უკანიდგან მიეპარა შოგიკის ქმარი და კეტი დასცხო თავში. თავს ზარ დაცემულმა ოსმალმა შოგიკს თავი დაანება და ქმარს მივარდა ამოღებულის ხმლით. მაგრამ ამ დროს შოგიკმა ამოიღო პაწია ხანჯალი, რომელიც კაბის სახელოში ჰქონდა დამალული და თვალში ჩასცა ჭაჯი-ფეის. გასისხლიანებული ჭაჯი-აღა იატაკზედ დაეცა. იმის ყვირილზედ შეიარაღებული მხლებლები შემოცვივდნენ და რაკი სისხლის მორევში მოცურავე უფროსი დაინახეს, შოგიკი და იმისი ქმარი შეჰბოჭეს და მუშის საპატიმროში გაჰგზავნეს. ჭაჯი ფეიმი სიკვდილის პირად იმყოფება.

## სოციოლოგოსთა კონგრესი ვენაში

ვენაში სოციოლოგოსთა კონგრესზედ წაიკითხა თავისი მოხსენება პროფესორმა ტილლემ. პატივცემულმა პროფესორმა სთქვა, რომ ამ ჟამად ერთ სავალალო გარემოებათაგანი ის არის, რომ გლეხების მიწებს დიდი ვალი ადევს და ეს ვალი თან და თან მატულობს და ამის გამო აწინდელ მიწად-მფლობელებს თავიანთი ადგილები უეჭველად ხელიდგან გამოეცლებაო.

იმედს ვერ ვიქონიებთ, განაგრძო პროფესორმა, რომ მიწათ მომქმედის ნაწარმოების ფასის მომატებამ შესცვალოს ან მოსპოს ეს სავალალო მდგომარეობა. მიზეზი გლეხთა ხელიდგან მიწების გამოცლისა სულ სხვაა და არავითარი კავშირი არა აქვს იმ გლეხებთან, რომელნიც საზოგადოდ ხელს უშლის საერთოდ სასოფლო-მეურნეობას. ამ ჟამად მიღებულია ის წესი, რომ მამული ერთის შთამომავლობის ხელიდგან მეორე შთამომავლობის ხელში გადადის, სოფლის მემამულე თან-და თან ხელში უვარდება ქალაქელ ფულის პატრონებს და ვალის გადაუხდელობის გამო მერე მამულიც იმათ უვარდება ხელში. მაგრამ სახელმწიფოსთვის-კი სულ ერთი არ უნდა იყოს, ვისა აქვს ხელში მამულები, გლეხს, ფულის პატრონს, თუ მდიდარს მემამულეს. სახელმწიფომ ხელი უნდა მოუმართოს შეძლებულ გლეხობას. სამ გვარი კანონი შეიძლება მიღებულ იქმნას მამულის მემკვიდრეობის განსაწეს-რიგებლად: ა) გაყიდვა მამულისა და ფულის განაწილება მემკვიდრეთა შორის; ბ) განაწილება თანასწორედ მამულისა და გ) მამულის ერთის მემკვიდრის ხელში გადაცემა.

პირველი წესი სრულიად ხელს უშლის მამულის შენახვას; მეორე ანაწილებს მამულს და მავნეა მეურნეობისათვის. დარჩა მესამე წესი და პროფესორი ტილლე ამტკიცებს, ეს წესი საუკეთესო წესია მეურნეობის განვითარებისათვის და ამიტომ კანონად იგი უნდა იქმნას მიღებულიო.

## წერილი ლ. პასტერისა „Figaro"-ს რედაქტორის მიმართ

ამას წინად დოქტორმა რუმ ბუდაპეშტის კონგრესზედ მოხსენება წაიკითხა ყელ-ჭირვების წამლობის შესახებ და უებარ წამლად ცხოველთა სისხლის შრატის შეშხაპუნება დაასახელა, რომელსაც ყელჭირვება ვერ ეკარება. მას შემდეგ პასტერის ინსტიტუტში, სადაც ექიმი რუ მუშაობს, ათარებელი წერილი და თხოვნა მიდის, რომლითაც სისხლის შრატსა თხოულობენ. მაგრამ ინსტიტუტს იმდენი შეძლება არა აქვს და ისეა საქმეებში გართული, რომ ყველა მთხოვნელების დაკმაყოფილება არ შეუძლიან. არამც თუ პროვინციის და უცხო ქვეყნების სამკურნალოებს, არამედ თვით პარიზის საავადმყოფოებსაც არა აქვთ ეს ახალი წამალი ყელ ჭირვებისა. მარტო ორს ბავშვთა საავადმყოფოს ეგზავნება პასტერის ინსტიტუტიდგან ეს წამალი. საქმის ხელის შესაწყობად გაზეთმა „Figaro"-მ ხელის მოწერა გაჰმართა. იმ წერილში, რომლითაც ხელის მოწერა გამოაცხადა, გაზეთმა მიჰმართა დედებსა და ოჯახებს და აღნუსხა, რა დიდი ზარალი მოაქვს ყელ-ჭირვებას. „Figaro"-ს წერილმა ძალიან იმოქმედა მკითხველებზედ და ორი კვირაც არ გავიდა, რაც ამ ხელის მოწერით 170,000 ფრანკი შეგროვდა. ამის გამო უკანასკნელს „Figaro"-ს ნომერში დაბეჭდილია ლ. პასტერის წერილი, ფიგაროს რედაქტორის მიმართ წარგზავნილი. „თქვენ გამოაცხადეთ გაზეთში, რა დიდი და დაუფასებელი ამაგი დასდო მთელს კაცობრიობას, ჩემმა ძვირფასმა თანამშრომელმა ექიმმა რუმაო, სწერს პასტერი. თქვენ მიჰმართეთ დედებს და სთხოვდით გაევრცელებინათ ის წამალი, რომელმაც სიკვდილს ათასობით ბავშვი უნდა გამოჰგლიჯოს ხელიდგან. და თქვენი ლოდინი არამც-თუ შეისმინეს, არამედ თქვენმა ბეჯნიერმა აზრმა მშობლებს თავისი ამ სენით დახოცილი შვილები დაუყენა თვალ-წინ და ამასთან მომავალი ბავშვებიც, რომელთა გულისათვის თავისი წვლილი არ დაიშურეს. ამ გვარად, ეს ბავშვები ცხოვრებას კეთილის ქმნით იწყებენ. საფრანგეთის ყოველმა მხარემ თანაუგრძნო იმ გრძნობას კეთილისასა და თანხმობისას, რომელიც თქვენგან წარმოთქმულმა სიტყვამ აღძრა ჟურნალ-გაზეთებისა და საზოგადოებაში.

მადლობას გწირავთ ჩემისა და იმ ჩემთა თანამშრომელთა მხრივ, რომელნიც მეცნიერებისა, სამშობლოს და კაცობრიობის სიკეთისათვის იღვწიან და ჰშრომობენ."

ლ. პასტერი

## გამოსადეგი ცნობა

ფლანელის და სხვა მატყლეულობის გაწმენდა. თუ გინდათ კარგად გაირეცხოს ფლანელი ანუ მატყლეული რამ და არ დაჯდეს, არ შეიკლოს, საპნის წყალი უნდა მოამზადოთ, ამ წყალში გახსნათ სოდა (30 მისხალი ერთ „კრუჟკა" წყალში). ამ შეზავებულ წყალში ფლანელი რამდენჯერმე გაავლეთ ისე, რომ კარგად დასველდეს, მერე სწორე რაზედმე გაშალეთ და თმის „ჩოტკით" გასწმინდეთ. თუ ფლანელი ძალიან ჭუჭყიანია, გაიმეორეთ იგივე. შემდეგ ფლანელი გაავლეთ მცირე საპნიან წყალში და მერე ლილა-გახსნილს წყალში. ფლანელი გავლების დროს ხელით არ დასრისოთ. როდესაც გაათავებთ, ფლანელი გააშრეთ მშრალსა და დაფარებულს ადგილს და არა ქარში, ანუ ცეცხლთან. ამ რიგად ფლანელი მშვენივრად იწმინდება და არც შეიკლებს.

## დეპეშა

5 ოქტომბერი

**ცარიცინი.** 15 ოქტომბრიდან ბაზილევსკის თევზის სავაჭრო ფირმა ცარიცინში და ასტრახანში გაუქმდება. ამბობენ, რომ ეს საქმე პატრონს იჯარით გაუცია წელიწადში 200,000 მანეთადო.

**პარიზი.** კაზიმირ პერიემ მიიღო დიდი მთავარი ვლადიმერი ალექსანდრეს ძე, რომელიც ვიზიტით იყო. ხვალ პრეზიდენტი სამაგიერო ვიზიტს გადაუხდის დიდ მთავარს.

პეტერბურგის ბირჟა, 4 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,47 | 7,50 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 149 | 150 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 240 |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 220 |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | ,, | — ,, | $192\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | — ,, | $101\frac{3}{4}$ |
| 5% | — ,, | — , | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6% | — ,, | — ,, | $101\frac{3}{4}$ |
| 5% | — ,, | — ,, | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 99 , | — ,, |

## განცხადებანი

კბილის ექიმი

**ვ. ი. ჭიჭინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—9)

ვ. ა. აბაშიძის გამოცემა

გამოვიდა და ისყიდება

**პანთეონი**

ქართულის თეატრისა

წიგნი I

შინაარსი:

იპვიანი—ვოდევილი 1 მოქმედ.

ბნელს ოთახში—ვოდ. 1 მოქმ.

ახირებულია—ვოდ. 1 მოქმ.

ფასი 30 კაპ.

(10—მ—10)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: ხირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პრობტასევიჩი, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

ე. ი. ფრანცუზსი, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

„წერა-კითხვის საზოგადოების"

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა | „ | 50 |
| ვისრამიანი | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა | „ | 15 |
| ქილილა და დამანა | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა | „ | 50 |